ბრძანება:**ბ32. 322430915**

თარიღი:**04/11/2024**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა"და ,,ე.ე" პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის, სქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი"- ს 54-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" #669 დადგენილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 მუხლებისა და მე-13 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, პირველი ნაწილის, 36 - ე მუხლის მე - 3 და მე - 4 ნაწილების, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის 01 ნოემბრის №07-322430620 მოხსენებითი ბარათის **შესაბამისად,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი 2024 წლის 07 ნოემბრიდან 2024 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოში მდებარე, 250 კვ.მ. და 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ:83.06.12.1012, ს/კ:83.06.12.725) განკარგვის მიზნით, დანართი #1-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. გადაერიცხოს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"–ს, თანდართული დოკუმენტის სახით, წარმოდგენილ ანგარიშის ნომერზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის მიზნით, ინფორმაციის ვებ–გვერდზე, www.eauction.ge–ზე განსათავსებლად თანხა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ანგარიშის ნომერი GE16LB0121192433146005.

3. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსს დავით ხარშილაძეს, უზურნველყოს ამ ბრძანების აღსასრულებლად სათანადო ღონისძიებების განხორციელება (www.eauction.ge-სათვის აუქციონის ორგანიზების მიზნით სათანადო ინფორმაციის მიწოდებისა და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი).
4. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების მეორე პუნქტის შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წეისის შესაბამისად.

5. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს თემური შუბითიძეს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი